დანართი №1

2016 წლის 12 აგვისტოს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის

შესახებ მ.შ.№5-16 (CMR160149794) ხელშეკრულებაზე

თბილისი 02.09.2016წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის **მაია ქალიაშვილის** სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და სს **„კავკასავტომაგისტრალი“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ირინე მარშანიას** სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს 2016 წლის 02 სექტემბრის №6980-2 მოხსენებითი ბარათის, მასზე დართული დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.5 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება N4 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა–შენახვის) სამუშაოების განხორციელების შესახებ მხარეთა შორის 2016 წლის 12 აგვისტოს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მ.შ.№5-16 ხელშეკრულების მე–8 მუხლის 8.1 პუნქტში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით არა უგვიანეს 2016 წლის 07 სექტემბრისა, მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას 30 კალენდარული დღით. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ღირებულების 5%–ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველი მოთხოვნისთანავე, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.“

2. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

3. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

4. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი

დეპარტამენტის

თავმჯდომარის მოადგილე

მაია ქალიაშვილი

მიმწოდებელი

სს „კავკასავტომაგისტრალი“

დირექტორი

ირინე მარშანია